შეთანხმება

სტუდენტების კვლევით პროცესებში ჩართულობის შესახებ

ქ. თბილისი „3“ აგვისტო 2026წ

წინამდებარე შეთანხმება იდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტსა (შემდგომში „ინსტიტუტი“), რომელსაც წარმოადგენს მისი დირექტორი ნუგზარ ყავლაშვილი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს (შემდგომში „ფაკულტეტი“) შორის, რომელსაც წარმოადგენს მისი დეკანი თალიკო ჟვანია, სტუდენტების მიერ ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი პროცესების განხორციელების შესახებ. შეთანხმების მოქმედების ვადაა 7 წელი, ძალაში შედის ორმხრივი ხელმოწერის დღიდან.

1. შეთანხმების საგანი

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა თანახმაა ინსტიტუტში მიიღოს ფაკულტეტის სტუდენტები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად.

2. შეთანხმების პირობები

აღნიშნულ საქმიანობას ინსტიტუტი წარმართავს თავისი დებულების შესაბამისად და მას განახორციელებს არსებული დაფინანსების ფარგლებში.

3. მხარეთა ვალდებულებები

1. ფაკულტეტი ვალდებულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად ინსტიტუტს გაუგზავნოს ინსტიტუტს თემატური შესაბამისობის სტუდენტები.

2. ინსტიტუტი ვალდებულია სამეცნიერო-კვლევითი პროცესების შესასრულებლად ინსტიტუტზე მიმაგრებული სტუდენტები უზრუნველყონ შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებით მაღალი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელებით და კვლევითი ბაზით, სადაც სტუდენტები განახორციელებენ კვლევებს აღნიშნული მიმართულებით..

წინამდებარე შეთანხმება ხელმოწერილია და ამობეჭდილია ორ ეგზემპლიარად.

ინსტიტუტის დირექტორი

ნუგზარ ყავლაშვილი

„----“ ----------

ფაკულტეტის დეკანი

თალიკო ჟვანია

„----“ ----------